კლდე

№ 10

22 მარტი 1915 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

5 მან.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონო-

მიური და სალიტერატურო ჟურნალი

ფელიეტონი მეოთხე

ცალკე ნომერი 10 კაპ.

რედაქცია ღიაა 9—3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე". დეპეშისა: თბილისი კლდე.

6253

ინგლისის ჯარისკაცები წყლით ავსილ საფრებში უკუ აგდებენ მტერს და ერთ და იმავე დროს მუშაობენ გაფუჭებულ თხრილების შესაკეთებლად.

ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Джавахишвили
Академия наук Г. С. С. Р.

ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘ

ღამის ზეწარს კამარაზე დასდნობოდა ვარსკვლავთ ველი,
ობლად მთვარე ლიფლიფებდა, ვით მბჟუტავი ცის კანდელი,
მისი კვნესა ოხვრას ჰგავდა გლოვის ზარით დანარეკსა,
ტანჯვის ტანჯვით წარმოშობილს ქვეყნის უხმო ანარეკლსა.
ამ დროს ქრისტე გულმდუღარი ნაზარეთით მოდიოდა,
ღვთაებრივსა ზეკაცური ცრემლი თვალზე მოსდიოდა.
მოციქულნი მჭმუნვარებდნენ, ვერ ჰხვდებოდნენ მოძღვრის ცრემლსა,
უხმოდ მდგარნი შეჰყურებდნენ მის იდუმალ დამწველ ცეცხლსა.
„რაბბი, რაბბი, გვითხარ რამე —ბოლოს ჰკადრეს წყნარის ხმითა,
როს დაღლილნი დაჰყურებდნენ ერუსალიმს ზეთის მთითა:
რაბბი, რაბბი, ხმა გამოგვეც, ნუდარ გვმოსავ ნაღვლის ფრთითო,
ხომ თვით ჰხედავ? უცნობ შიშით შენნი შვილნი ვითარ ვთრთითო,
ხომ აღსრულდა, შენმან მცნებამ გამოჰფურჩნა ყვავილები,
თეთრ ზამბახათ აიყლორტნენ გუშინდელ დღის ბრმა შვილები
ვალსამოსი აიაზმად მოეურა მთა და ბარსა,
აბიბინდა ქვეყნის გული, გადეხვია ია-ვარდსა.
აგერ, რარიგ ნეტარებით ტუჩნი ჰკოცნენ ქალწულ ვნებას,
სულნი ცათა შეჰხარიან შენს ღვთაებრივ მცნებათ-მცნებას.
შენ კი სდუმხარ... რაბბი, რაბბი, ვითარ მივხვდეთ შენსა ნებას?
იქნებ გშიან? დაიღალე? გვითხარ, რაბბი, ოჰ! რა გნებავს?“
მაგრამ ზეკაცს არ ჰშიოდა, არც დაღალვა აღონებდა,
მისი ფიქრი, მისი გული სხვას იზრახვდა, სხვას ჰგონებდა.
საპასუხოდ მქრალნი თვალნი მიაშტერა შორით ველსა,
ჯოჯოხეთის საზეიმოდ ადამიანთ სისხლით სველსა.
დედამიწა გაშლილიყო წამებისა შავ-ბნელ მღვიმედ,
სუნთქვა ზეცას შეჰხუთვოდა, სულს ითქვამდა მეტად მძიმედ.
უგნურების ასპარეზზე ცეკვით ჰფრენდა ომის ღმერთი.
და გარშემო გაეშალა ქვესკნელ ძალთა ჯოჯოხეთი.
თავის ქალა, სისხლი, ჩონჩხი, ბუკ-ნაღარის ნამსხვრევები,
მხედართ მკვდარნი ბედაურნი, ფარ-შუბი თუ დაფდაფები
გოლგოთის მთად აემართნა, მოჰფრინავდნენ სვავნი მთისა,
და მათ ყივილს ბანს აძლევდა მთელი ხროვა ტურა მგლისა.
აგერ კბილებ დაღრჭენილი ერთი თითქოს სწყევლის ცასა,
მეორეს კი თვის სახება მთლად დაჰშლია. არ ჰგავს კაცსა,
გამოლადრულს ჯერედ კიდევ ფოლადი აქეს მძიმედ ყელში,
ნამსხვრევ მახვილს ჩაჰკდომია, მაგრ ად ჰბღუჯავს ორივ ხელში.
ვისთვის აღსდგა? რათ ამხედრდა? ან პირქუშად რათ იბრძოდა?
რათ სჭიროდა ძმათა ხოცვა უბედურმა რა იცოდა!
რათ ვერ მიხვდა, რომ ასეთ გზით სიყვარული დაიწვოდა
და ყვავილი მის სახების შუბ-შიმშერზე აიცმოდა?
მოციქულნი მიხვდნენ ბოლოს მოძღვრის მცნებათ გამტვირებას,
უგნურების უგნურებით საკურთხევლის კართა მტვრევას,
და ოდნავაც არ ჰკვირობდნენ, თუ ძმა ძმის გულს შუბით ჰხევდა,
და ზეკაციც წვეთ-წვეთობით მათ სისხლს ცრემლად მოანთხევდა.

Candide.

ომი და ჩვენი მატიანე

V

ომმა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნება და განწყობილება შეანძრია, აზრი შეამუშავა, გრძნობა ააღელვა და ამ მოზღვავებულ გრძნობათა და აზრთა მორევში ერთი რამ მეტად წმიდა, ფაქიზი და სპეტაკი, თვალ-წარმტაცი და გონების მომხიბვლელი მშვენიერება გვაჩვენა, ჩვენი სასოებით აღპყრობილი თვალები ერთ რამ საყუდარს მიაპყრო, რომლის სახელი —

— სამშობლოა!

ჩვენ წინათაც ვიცოდით, რომ გვქონდა სამშობლო, გვყავდა მშობელი ხალხი, ვიცოდით რომ უნდა გვყვარებოდა იგი, რომ მზად უნდა ვყოფილიყავით რათა გასაჭირში მას მტლად დავდებოდით! მაგრამ ეს ვიცოდით, დღეს კი ვიგრძენით!

სხვა ყოფილა შეგნება და ცოდნა-გონებითა, სხვა ყოფილა გრძნობა და განცდა გულითა!

მისტიურ არსად მოგვეევლინა ღღეს სამშობლო! ის, რასაც დღემდის აღზრდა, მოქალაქობრივი მოვალეობის შეგნება გვავალებდა—დღეს მან მთლად ჩვენი არსება აიტაცა და შთანთქა, იგი ჩვენი საკუთარი არსებობის თანდაყოლილ, ბუნებრივ, ორგანიულად შედუღებულ თვისებათ აღმოჩნდა. იგი გაიფურჩნა ყველა ქართველის პიროვნებაში, მთელ საქართველოში, თუ ყველა ქართველი, მთელი საქართველო შედუღდა ამ გრძნობაში, კეთილშობილ უმაღლეს გრძნობის კოკონათ იქცა მთელი ქვეყანა!

ბუმბერაზ ამაღლების მთად, სპეტაკად, ფაქიზად და წმიდათ მოგვეევლინა იგი ჩვენ და ასეთივე ფაქიზი და წმიდა სავარძელიც აღმოუჩნდა ყველა ქართველის გულში.

დიდი, შესანიშნავი ცვლილება მოხდა ჩვენ გრძნობათა და შემეცნებათა შორის, ცვლილება სალიტანიო, ნამდვილი აღორძინება, აღდგომა, სადაც ვპოვეთ ჩვენ ქრისტე!

განვახლდით ახალი გრძნობით, ახალი სიყვარულირ, ახალი შეგნებით!

ვპოვეთ სიონი არა იქ, სადაც ეძებდა მას გონება!

არა, ჩვენი სიონი, ჩვენი სამშობლო არის აქ, სადაც მიწა მამა-პაპათა სისხლით არის გაპოხიერებული, დედათა ცრემლით დანამული, ძმათა უბედურობით მშრალი!

საქმე ნდობაში, დაპირებაში არა ყოფილა!

დაე, ნუ უყვარვართ, ნუ გვენდობიან, აგვიგდონ აბუჩათ—მძლეთა მძლე ძალა—ერის შემნახველი სამშობლო ისევა ყოფილა!

არა დაპირებამ, არა ზრახვებმა შემოგვკრიფა დღეს მის გარშემო საღაღადისოთ, მახვილი ხელში აგვაღებინა—არამედ სულ სხვა ძლიერმა, უხილავმა ძალამ, გაუშრეტელმა კავშირმა სამშობლოს სიყვარულისამ—მის გამპოხიერებელ ჩვენი მამა-პაპათა და ჩვენი საკუთარის სისხლის ნათესაობამ, ერთგვაროობამ, ერთმოდგმობამ.

მაგრამ სად იყო ეს ბუნებრივი ძლიერი ძალა დღევანდლამდის?

რად გაპატრიოტდა მთელი ერი ამ სიტყვის უკეთილშობილეს მნიშვნელობით?

იყო დღემდის ეს გრძნობა, იგი ჩაუქრობელი, ხან მიფერფლილი, ხან ძლიერ ალში მოელვარე, მრავალ საუკუნოებითი კერაა ქართველი ერისა! ჩვენ ყოველთვის, განუწყვეტლად ვატარებდით ამ დიად, ღრმა და უკეთილშობილეს გრძნობას—სამშობლოს სიყვარულისას, მაგრამ ვერ ვგრძნობდით მას, არ ვფიქრობდით მაზე. და როდესაც დიდ რუსეთში ზარის ხმა გაისმა—ქვეყანა გასაჭირშიაო! აღმოჩნდა, რომ ჩვენც მზადა ვიყავით. მოგვესმა ეს ხმა და გავეშურეთ ჩვენც ჩვენი სამშობლოს დასაცველად. უკეთილშობილესმა გრძნობამ შეიპყრო ჩვენი არსება, ყველაფერი დაგვავიწყა, ყველაფერი მიგვატოვებინა.

მოგვიხმო და ჩვენც მოველით მის ხმაზედ მხოლოდ ერთი გრძნობით სამშობლოს სიყვარულით აღგზნებულნი.

მაშ არ გამქრალა კერა!

ძლიერია ხალხი ამ უკეთილშობილეს გრძნობით გატაცებული! ვერას დააკლებს მას ვერც გველთა სისინი მოღალატობაზედ, ვერც სვავთა ბრჭყალების ღრჭიალი სამშობლოს გულის გასაძიძგნათ გამზადებული.

შამქორი.

წითელი კვერცხები

(იუმორისტული „ვიზიტები“)

უნდა გამოგიტყდეთ, რომ არა ჩვეულებრივი და მეტად უკმური აღდგომა გამითენდა: რამდენიმე დღის წინად დამიბარა ჩვენმა რედაქტორმა და ახი-

რებული წინადადება მომცა: „ვინაიდგან მე მიცლა არა მაქვს, შენ უნდა , სავიზიტოთ'' ჩამოუარო ჩვენებურ დაწესებულებათ, ეგრევე საპატიო პირთ და ჩამოურიგო შეღებილი კვერცხები, შესაფერი ზედწარწერითაო''... ჯერ ბევრი უმტკიცე ბ ნ რედაქტორს, ომისგან გამოწვეულ კვერცხების სიძვირეც რომ არ მივიღოთ მხედველობაში,—ჩვენ, ქართველებს, სადღესასწაულო და მისალოცი არაფერი გვაქვს, მაშინ, როცა მრავალ მხრიდან მტერს სასტიკი იერიში მოაქვს და წ მოყენებულია, მთელი თავისი საშინელებით, კითხვა თვით ჩვენი ყოფნა-არყოფნაზედ მეთქი. მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ!—რას მიედ-მოედები: ,,ჩვეულება რჯულზედ უმტკიცესიაო'', ჩვენ ვიღაზედ რა ნაკლები ვართ, —დაუყონებლად შეუდექი ამ დავალების აღსრულებასაო,—რიხიანის კილოთი მიბრძანა იმან.

რაღას გავაწყობდი, ნათქვამია: ,,ბატონმა რომ ბრძანოს მუხას ვაშლები მოუსხამსო,—უნდა უპასუხო: სულ დიდრონ-დიდრონიო!''... მერმე ქართველი კაცის სიბეჩავე ხომ მოგეხსენებათ: განა ჩვენ იმოდენა სითამამე მოგვეპოება, რომ თუნდა აშკარა უსამართლობას, ან ჩვენ თავმოყვარეობის ვერაგულად დამწიხვლელს, თუ იგი მოიუმფროსებს, თამამი, მოურიდებელი და რაინდული პასუხი გავცეთ?!.

ეგეც არ იყოს, მწერლობის ჩემგვარ შავ მუშაკს უნებლიეთ აღეძვრის ხოლმე სურვილი თვისი გულის ნადებიც საერთო საქმეზედ გაუზიაროს თანამოძმეთ და თუ ბატონი რედაქტორი შემოგიწყრა, მაშინ წადი და, როგორც იმერნი იტყვიან, „კაკალი უყარე შენს საქმეს!..'' ჩვენში ხომ ბევრს რედაქტორს თავისი გამოცემა, უკულმართად. პირადი საკუთრება ჰგონია ამიტომაც, მეტი რა გზა მქონდა: მოუზადებლად და უმწეოთ მივატოვე საკუთარი ოჯახი, ცხინვალელ ებრაელივით კვერცხებით სავსე კალათი დავიკავე ხელში და ალილუსებრ ჩამოვიარე კარის-კარს...

უპირველესად მივაშურე ჩვენ მამა-მთავარ დაწესებულება,—წ.-კ. გ. **საზოგადოებისაკენ** და თან ხელში მოზრდილი, წითლად შეღებილი, ბატის კვერცხი მეკავა; შესაფერი სიტყვაც დამზადებული მქონდა... მაგრამ გამგეობაში შესვლა განა მაცალეს: იქ იმდენ ქართველობას მოეყარა თავი, რომ „ჩვენებური დასაფლავება" მოგაგონდებოდათ. და ამასთანავე ყველას დიდი აღელვება ეტყობოდა პეტროგრადის საგენტოს მიერ სევასტოპოლიდან მეორედ გამოქვეყნებულ დეპეშის გამო; ახალი დეპეშა უმალ მთელ ქვეყნიერებას ატყობინებდა შემდეგს: , როგორც დანამდვილებით გამოირკვა, თურმე დიდი ხანია, რაც საქართველო დაბეჯითებით და სისტემატიურად, ყველა იქ მომქმედ პოლიტიკურ პარტიების საოცარის შეთანხმებით, ამზადებდა აჯანყებას თავისუფლების მოსაპოვებლად. საყოფი იარაღი და საღსარი დამზადებული ჰქონია. მთელი ქართველობა, როგორც ერთი კაცი, ერთის ფიქრითაა მოცული; ყოველ კუთხეს დაგზავნილი წარმომადგენელნი არა ნახულ სიმტკიცით იცავს მიზან-შეწონილს საერთო გეგმას. და თუ არსებულ ომში, რუსეთის სახელმწიფოს საერთო მიზანს მისახწევად, მრავალი ათასი ქართველი თავგამოდებით შეაკვდა,—ეს მოხდა თვალთმაქცობით. წინადვე შემუშავებულ გეგმით, რომ ვითომდა ქართველობის ერთგულობაზედ ეჭვი არავის ეღო და მით ხელი არ შეეშალა უმთავრეს მიზნის,—ღალატის განსახორციელებლადო''...

ძნელი წარმოსადგენია, თუ რა აურ-ზაური აეტეხა ამ ახალ დეპეშას: ერთი ამბობდა,—ყველა ჩვენ დაწესებულებებს აუცილებლად დახურავენო; მეორე გაიძახოდა: არიქათ დავიღუპეთ, ეხლა, არამც თუ სხვ გვარ სამსახურში, ,,დვორნიკებათაც'' აღარ მიგვიღებენ და ცოლ-შვილიანათ შიმშილით ამოვწყდებითო; მესამე ირწმუნებოდა—მთელ საქართველოს ციმბირში გადაასახლებენო და ამიტომაც, რაიმე გარდაწყვეტილების გამოსატანად, ცნობილ გიორგი ჟურულის თავმჯდომარეობით, კრება გაემართათ. თვრ მეტ თაბახზე ჩამოეწერათ იმ ,,არატორთა'' სია, რომელთაც სიტყვა ეთხოვა იმ გეგმის წამოსაყენებლად, თუ რა ფორმებში გამოეხატათ თვისი უქვეშევრდომილესი მონა-მორჩილეობის გძნობა. ვხედავდი რომ ის ,,ნაყოფიერი საქმიანობა'' მეორე აღდგომამდის გასტანდა... ,,საბრალონი'' მეთქი, მწარედ გავიფიქრე და გაუდექ ჩემ გზას. ქუჩა გადავიარე და შეველი ,,**სახალხოში**''. იქ სიტყვას ნაცრემლისაგან გუბე დაეყენებინათ, ზედ ნავით უზრუნველად დასცურავდა რედაქციის კოლეგია და სტკბებოდა გრიშაშვილის ლექსით: ,,იწვის შხერი, იწვის შხერის!''... ყაიდაზე.. მე იმათ ახლოს ველარ მიუდექი და სხვის ხელით გადავეცი ერთი კვერცხი, ზედ წარწერით: ,,მეტი პირდაპიროდა და მიუხვეველ-მოუხვეველი გზა ეროვნულ საკითხში და მეტი პატივისცემა მკითხველთა და გარეშე თანამშრომელთადმი''...

ავიარე მოპარუსკე ქართ. გაზ. ,,**ზ.-რეჩის**'' რედაქციაშიაც. იქ ,,გრუზინი'' სტატისტიკის გაც-

ხარებულ კვლევა-ძიებაში იყო და იმ დასკვნამდე მისულიყო, რომ, ვინაიდგან სპარსეთ-ოსმალოდგან გამოქცეულთა რიცხვი ბევრით აღემატება იქ დარჩენილთა რაოდენობასაო, ბარემლა ჩვენშივე დააარსონ თავისუფალი არმენიაო... იქვე, მოფარებით მჯდომ, მგოსანს აბაშელს თავისი მხიბლავი პოეზია ანგარიშების შედგენაზე დაეხურდავებინა და დიდი მოხსენება მოემზადებინა ქალაქის ზოგიერთ უბნების სანიტარულ მდგომარეობის შესახებ. მე რომ ეს გავიკვირვე, იმან, ცოტა არ იყოს დარცხვენით მიპასუხა—,,კუჭის მწვავე საკითხი ხშირად ჩრდილავს პოეზიის მხიბლაობასაო''— რაღას ვეტყოდი!.. ბ. პ. გოთუა სმაღდგომო საჩუქრებით დატვირთული მეომრებისაკენ მეორეთ მიემგზავრებოდა ჭოროხისაკენ. მეც რამდენიმე კვერცხი გავატანე წარწერით: ფრთხილ, მოსაზრებულ მოქმედებას გისურვებთ'' მეთქი.

შორს აღარ იყო და ვინახულე გაზ. ,,**სლოვოც**'',—უკაცრავად ,,კავკ. სლოვო'' თუმცა აქ საბოდიშო აღარც არაფერია, ვინაიდგან ბევრნი, ამ ორ წინადადებაში განსხვავებას ვერც კი ხედავენ. ამ საგანგებოთ დაარსებულ რედაქციაშიაც მხოლოდღა გაისმოდა ერთი სიტყვის დაჟინებით ძახილი: ,,გამოქცეულნი'', ,,გამოქცეულთათვის'', ,,გამოქცეულთაგან''... ამ სურათის მნახველმა, ცოტა არ იყოს, შიშით აქეთ იქით ყურება დავიწყე და... მეც გამოვიქეცი... **ქალაქის სამმართველ**-ს რომ მიუახლოვრი, ალექსანდრ ივანიჩის „ბულბულივით მხიბლავი ხმა" მომესმა. გულმა ვეღარ მოითმინა და შეუხვიე. იქ, ქალაქის მამინაცვლებს, დიდი ბჭობა ჰქონოდათ და გადაეწყვიტათ კიდეც: ტრამვაი ქალაქის ხელში გადმოვიდეს; იქიდან ძველი მოსამსახურენი დავითხოვოთ—როგორც ბევრ შრომა გამოვლილთათვის ხანგრძლივი დასვენებაა საჭიროო და იმათ ადგილას კი ყოველგან გამოქცეულები ჩავაყენოთ, რომ იქნება აქედგან მაინც აღარ გაგვექცნენო. ვინც არა მგონია ამ გამოქცეულებზედ ლაპარაკობდა და წარმოიდგინეთ მეც გამიტაცა **გამოქცეულთა საკითხმ**ა და ძალიან მწადდა, ერთი თვალითაც არის, გადამეხედა აქედგან რუსეთში გაქცეულ ჩინოვნიკთა ცოლებისათვის; მაგრამ დამარწმუნეს, რომ, თურმე აქ ჩინოვნიკები და რუსეთში კიდევ მათი გაქცეული ცოლები, ძალიან მოსვენებით და მხიარულად გრძნობენ თავსაო, და მეც ამ ცნობით დავკმაყოფილდი... ვინახულე ,,**ტორგოვი ლისტოკ**''—ეს რა ღმერთი მიწყრება და მეშლება,—„ტიფლისკი ლისტოკი" იქაც ბევრს ვისმეს მოეყარა თავი, რადგანაც რედაქციას ყოველგვარ „საქონელის" დიდი „რასპროდაჟა" დაენიშნა.

— განცხადება ხომ არაფერი მოგიტანიაო,— ხარბათ მომცვინდნენ აქეთ-იქიდან.—არა, საღდგომო მისალოცი მოგართვით მეთქი,—ვუპასუხე და ერთი კვერცხი, ზედ ქარის მიმართულების მაჩვენებელ ისარ (ფლიუგერი) გამოსახული გადავეცი.

ცნობილმა ხაჩატუროვმა კვერცხი იჭვიანათ გააქნ-გამოაქნია და სთქვა—ეს მგონი ლაყსა ჰგავსო!..

— თქვენი ბედი ყოფილა მეთქი,—ვუპასუხე და თან დავამშვიდე: არა უშავს რა, თქვენ გამოცდილი და მიხერხებული კაცი ხართ და ლაყი კვერცხის გასაღებასაც მოახერხებთ მეთქი.

სიმპატიურ ,,**თემს**'' უნახავად ვერ დავტოვებდი და მოვინახულე კიდეც. არ ეცალა კი საბრალო რედაქტორს: თუმცა თვრამეტი ნომრის მასალა უკვე დამზადებული ჰქონდა,—სიტყვები და მოგონებანი აკაკის შესახებ,—მაგრამ, თან მალ მალე ტელეფონით ლაპარაკობდა, თან სტუმრებს ართობდა, თან კორექტურას ასწორებდა, ეტლიც გარეთ უცდიდა და ცალკე კიდევ დიდ მოხსენება-პროექტს ამზადებდა იმაზედ თუ „ჩვენში მოსახერხებელია, თუ არა მოეწყოს მგლების და ცხვრების ერთად ძოვებაო"... აღარ მინდოდა მეც ზედმეტად ხელი შემეშალა ამ გულწრფელ ადამიანისათვის და მალე გამოვბრუნდი.

დაღლილ-დაქანცული უხალისოთ მივათრევდი ფეხებს; ვიფიქრე მოდი ცოტათი გულს გადავაყოლებ და ეშმაკეულეთშიაც შევიხედავ მეთქი და შევაღე „ახ. მათრახის" რედაქციის ჯურღმულის კარი. თითქმის ყველა გრძნეული ძალას აქ მოეყარა თავი: ვის არ ნახავდით აქ: ეშმაკი, ქაჯი, მაჯლაჯუნა.. ეშმაკსა და თაგვს კუდები გადაებათ ერთმანეთისთვის, თათები წაეკიდათ „შავი სტუდენტის ნივთისთვის", მარსელიოზის ჰანგზე რაღაცას მღეროდნენ და თან მალაყებს გადადიოდნენ. ბელზებელიმც შეეწევათ ძალიან გამართეს და მეც, ორ მამალ ეშმაკს, წყვილი კვერცხი ვუფეშქაშე...

ერთი ღა მაგარი ციცარის კვერცხი დამრჩენოდა და მაგრად ვინახავდი ჩემ საუკეთესო მეგობრისათვის, მაგრამ გზად რომ მოვდიოდი „შადრევანის" რედაქციის განცხადებას წავაწყდი და კვერცხიც იმათ ვუთავაზე და ვუსურვე დღეგრძელობა.

კიდევ ბევრი დაწესებულება და საპატიო პირი დამრჩა უნახავი, მაგრამ ჯერ ერთი მისალოცი სა-

ჩუქრები შემომელია და მეორეც კიდევ,—ბევრი ვიკითხე და სახლში არ დამხვდა,—ყველა დეპეშის საპროტესტოთ გამართულ კრებაზე გაკრეფილიყო. მეც დაღლილ-დაქანცულმა მოღამებისას, სახლისკენ პირი ვიბრუნე. ჩემ ბინას რომ მიუახლოვდი ხმაურობა და წყევლა-კრულვა მომესმა. აჩრდილივით შევიპარე ოთახში, მაგრამ განა არ შემნიშნავდნენ და რაც მე მაშინ დღე დამადგა, ის თქვენ ღმერთმა გაშოროთ! მომდგნენ, ბატონო, ცოლი, სიდედრი, სიმამრი, ნათლის დედა, მზახალი, რასაკვირველია ჩვენი მეეზოვეც დაესწრო და კიდევ ვინ არ გინდა და რა არ მაკადრეს: — შე პირშავო, სახლი არა გაქვს, კარი არა გაქვს, ოჯახი არა გყავს, რომ ყოველივე ღვთის ანაბარა მიგიტოვებია და, უპატრონო ინდოურივით, ამ დღესასწაულში ხვის კარის-კარ დაეხეტებიო... ერთი რომ დაიღლებოდა, მას მეორე სცვლიდა და იყო ჯოჯოხეთური აურზაური... მე, მუთაქასებრ გარინდებულს და მობუზულს, შეკუმშული ხელები მუხლებს შუა მეკავა და, უმწეო ბასილასებრ, თვალების ქუთუთოებს დარცხვენით ვახამხამებდი. ახი კია: სწორედ ჩემისთანა კაცზეა ნათქვამი: „მიდის-მოდის გაბრიელი, — არვინა ჰყავს მადრიელიო!“. ვერც ვისმეს გარეშეს ვაამე და ოჯახური ცხოვრებაც ჯოჯოხეთად გადვიქცია...

ფუი, ამისთანა ყოფას!..

გ—ი ახ—ელი.

სახ. განათ. სამინისტ. ახალი კურსი და ჩვენი საჭიროებანი

(იხ. „კ ლ დ ე“ № 9).

იმ მავნე მოვლენებს, რომელიც მოჰქონდა და მოაქვს ჩვენთვის მიღებულ სწავლა-აღზრდის სისტემას და რომლებზედაც გვქონდა ლაპარაკი წარსულ წერილში დღეს კიდევ ერთი რამ ემატება. ჰუმანიტარულ გიმნაზიას ჩვენი საზოგადოება უმთავრესად იმიტომ ეტანებოდა, რომ იგი გზას უხსნიდა მომავალ სამსახურისაკენ, მოხელეთ ამზადებდა მას. დღეს ამ იმედს ფთა ძალიან შეეკვეცა. ჩვენს ახალგაზრდობას, განსაკუთრებით სამშობლოში, ადგილს არავინ აძლევს. დაწინაურებაზედ ხომ ფიქრიც მეტია. ისე რომ ამ თავის ჩვენის საზოგადოებისათვის უმთავრეს დანიშნულებასაც ვეღარ ასრულებს კლასიკური აღზრდა და მეტად მძიმე და ყალბ მდგომარეობაში აყენებს მას. უმაღლეს სწავლა მიღებული ჩვენი ახალგაზრდობა იძულებულია რუსეთში დარჩეს არსებობის უზრუნველსაყოფელად. ამიტომ იგი არამც თუ ვერ უსრულებს ერს იმ სამსახურს, რომელსაც საზოგადოთ ყოველივე ნასწავლი ნაწილი საზოგადოებისა ეწევა საერთო ეროვნულ ცხოვრების წინაშე, არამედ პირიქით სრულიად აკლდება მას, გადაგვარების გზაზე დგება.

ასეთ ყოფაში ჩავარდნილთა რიცხვი დღითიდღე მატულობს და დღესაც არც ისე მცირეა, რომ მაზედ ლაპარაკი არა ღირდეს. ამ სტრიქონების დამწერის დაკვირვებით, მის საუნივერსიტეტო ქალაქში ყოფნის დროს, 60—65 პროცენტი კურს დამთავრებული ქართველობისა რუსეთში რჩებოდა; სამშობლოში დაბრუნებული 40%, 35%—მხოლოდ მცირე ნაწილს, ისიც თავისუფალ პროფესიის მიმდევართ, უხერხდებათ სამშობლო ქალაქებში მოწყობა, დანარჩენი ნაწილი კი, უმეცა კავკასიაში შოულობს ადგილს, მაგრამ ისეთ ადგილებში იგზავნება, რომ სრულიად ჰკარგავს კავშირს სამშობლო ცხოვრებასთან. ესეც რომ არ იყოს, როგორც წინა წერილშიაც გვქონდა გამორკვეული იგი თავის „მოხელეობის“ გამო სრულიად პასიურ და უსარგებლო ელემენტად ხდება ერისათვის.

ყველაფერი ეს ისეთი ცხადი და საგრძნობელია, რომ ძველ და ნატკეპნ გზით სიარული შეუძლებელია ჩვენთვის. უნდა უარი ვთქვათ მიღებულ სისტემაზე და ახალი გზა გამოვნახოთ. მით უმეტეს, რომ დღევანდელი სამინისტროს კურსი ცოტად თუ ბევრად ჰხრის სკოლას და საშუალო განათლებას ცხოვრებისაკენ და ყოველ ნორმალურ სწავლა-აღზრდის დევიზი ხომ სწორედ ცხოვრებასთან დაახლოვება გახლავთ. განსაკუთრებით ჩვენთვის უნდა ჰქონდეს დიდი გამომფხიზლებელი გავლენა ამ ახალ მიმართულებას, რადგან ჩვენზე დიდი მსხვერპლი ნორმალურ სისტემისათვის არავის შეუწირია, რადგან არც ერთი ერის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება ისე არ მოითხოვს საჭირო ცოდნით აღჭურვილ, მოხელეობის ხვრელში გაუვლელ და მაშასადამე სიმტკიცის მქონე, საკუთარ ძალაზე დაიმედებულს და სულით დამოუკიდებელს ელემენტს, როგორც მოითხოვს მას ჩვენი ცხოვრება.

რასაკვირველია, ჩვენ სიტყვებს ისე არავინ გაიგებს, რომ ჩვენ მომხრე ვიყვეთ ხვალვე სრულებით დავკეტოთ რაც ჩვენ ქვეყანაში კლასიკურ კერძო და სახაზინო გიმნაზიები არის და მათ ნაცვლად

სხვა და სხვა სპეციალური სასწავლებელი გავხსნათ. ერთნაირი საჭიროება ჰუმანიტარულად აღზრდილ და განვითარებულ პირებში საზოგადო ცხოვრებას ყოველთვის ექნება, ექნება აგრედვე შესაფერი ტიპი სასწავლებლისაც, რადგან მათ არსებობაში თვითონ მთავრობა არის დაინტერესებული ამ გზით დარჩება საკმაო რიცხვი სასწავლებლებისა, რომელნიც სავსებით მოუკლავენ ყველა ქართველს რაიმე მიზეზით გამოწვეულს გადაკრილს წყურვილს ჰუმანიტარულ სწავლის მიღებისას და ჩვენ საზოგადოებასაც ასეთ განათლების შეძენილ პირთა საკმარის რიცხვს მისცემენ. მაშასადამე ჩვენთვის სრულიად საკმარისი იქნება ის გიმნაზიებიც, რომელიც თვითონ მთავრობას აქვს დაარსებული და თავის ხარჯითაც ინახავს მათ. დაე, კლასიკურ სწავლის მიღების მოსურნე ქართველი წავიდეს ასეთ გიმნაზიებში, ერმა კი თავისი განათლების სისტემა სრულიად უნდა შესცვალოს! ჩვენ სრულიად ხელი უნდა ავიღოთ მინაგვარ სასწავლებლების გახსნაზე და თუ შესაძლებელია ის სასწავლებლებიც კი, რომელნიც უმთავრესად ჩვენის ხარჯით ინახება, სწავლის ფულის გადახდით გამოიხატება იგი, თუ საზოგადო სუბსიდიით — უნდა როგორმე სასურველ და ჩვენთვის სასარგებლო გზაზე დავაყენოთ, შევეცადოთ აღვზარდოთ ჩვენი ცხოვრების მიხედვით საჭირო ცოდნით აღჭურვილნი და სასარგებლო პირნი. მართალია, ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა არავითარ გავლენას არ გვაძლევს, რაიმე ცვლილებათა შეტანისათვის უკვე არსებულ სასწავლებლებში, მაგრამ არც ისეთი უიარაღონი ვართ, რომ რაიმე ზეგავლენის მოხდენა არ შეგვეძლოს.

მართალია, ქალაქის თვითმართველობა სხვის ხელშია, ერობა არავინ გვაღირსა, და მოკლებული ასეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ჩვენ არა გვაქვს საშუალება ჩვენ სურვილს ახდილი და განსაზღვრული მიმართულების განსახიერება მივცეთ, მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლიან ჩვენი ქონებრივი შენაწირი და ხარჯი სწავლა-აღზრდის საქმეზე იქით მივხაროთ და ისეთი გზა მივცეთ, საითაც მოგვიწოდებს გონიერება და შეგნება ჩვენი საკუთარი სარგებლობისა. ჩვენი პროვინციის, გორის, თელავის, ხაშურის და სხვა მრავალი, კლასიკური გიმნაზიები ინახება უმთავრესად სწავლის ფულით და იმავე ქართველ საზოგადოებათა დახმარებით (ქალაქები და თ. აზნ.) მოსწავლეთა შორის კი სულ მცირედი 75 პროც. არის ქართველი, მაშასადამე მათი შემნახველი და მასაზრდოებელი ყოფილა ქართველი საზოგადოება, ის საზოგადოება, რომელსაც ასეთ უმადურს სამსახურს უწევენ ხსენებულ სისტემის გიმნაზიები. თუ ამ მოვლენას თავის გასამართლებელ საბუთად ისა აქვს, რომ მშობელი იძულებულია სხვა სასწავლებლის უქონლობის გამო აქ აღზარდოს შვილი, რომ იგი ახალი ტიპის სასწავლებლის შექმნაში სრულიად პასიური და შეუძლია, და ნება-უნებლიეთ მისდევს ერთხელ გატკეპნილს გზას, მეორე მოვლენას, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში, არამც თუ არავითარი გასამართლებელი საბუთი არა აქვს, არამედ წარმოუდგენელიც ხდება თავისი უსარგებლო და უნაყოფო ხარჯით. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი, რომელნიც მცირე ხარჯს არ ეწევიან ხსენებულ სასწავლებლებზე. მარტო თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა და ქალაქები ქართულის შემადგენლობით, ყოველ წლიურად ხარჯავენ კლასიკურ გიმნაზიებზე არა ნაკლებ 130 ათასი მანეთისა. დაუმატეთ ამ ფულს ის ხარჯი, რომელსაც ეწევა ჩვენი საზოგადოება ზემო-ხსენებულ გზით და მაშინ ყველასათვის აშკარა იქმნება, რომ არც ისეთი საწყლები ვართ, როგორცა გვგონია. საერთოდ ისეთ ბიუჯეტს იძლევა ჩვენი სასკოლო გადასახადი, რომ იგი სრულ საშუალებას მოგვცემს შევინახოთ საკმარისი რიცხვი სასწავლებლებისა და ისეთი სასწავლებლებისაც, სადაც ბატონპატრონიც ჩვენ ვიქნებით და სადაც სწორედ ისეთი ცოდნის პირნი აღიზრდებიან, როგორიც ჩვენ გვინდა. ეს ხომ აშკარაა ქვეყნისათვის, რომ იმათ, ვინც ასე უწყალოდ დამდიდრდნენ ჩვენს ქვეყანაში, სიმდიდრე ხურჯინებით არ მოუტანიათ სხვაგნიდან, არამედ ყველაფერი აქ, ჩვენ საკუთარ მიწაწყალზე შეიძინეს. შეიძინეს მით, რომ სწორედ იმ სიმდიდრეს მოჰკიდეს ხელი, რომელსაც ჩვენი განათლებული, მოჩინოვნიკე, საზოგადოება თავს ანებებდა. და აი დღეს ჩვენ უახლოვეს საჭიროებად და საკითხად, კიდევ ხახს გავუსვამთ ამ მოვლენას, უნდა შეიქმნეს ისეთი განათლება, რომელიც ჩვენ ცხოვრების ალღოს აღებას, მის ბუნებრივ სიმდიდრის დამუშავებას შესძლებს.

ჩვენდა საბედნიეროდ სიმპტომებს ასეთ მოქმედებისას უკვე ვხედავთ ამ უკანასკნელ ხანში და დღევანდელი მინისტრის საერთო კურსი ხომ უფრო იმედს გვაძლევს. ყოველივე ეტყვს გარეშეა, რომ ჩვენს სოფლებში დაწყებული მეტად საყურადღებო მოძრაობა, კოოპერატივების, წვრილი კრედიტის, მომხმარებელ ამხანაგობათა, მეურნეთა გაუმჯობე-

სების სახით, დიდს გამაცოცხლებელს და გამამხნევებელს გავლენას იქონიებს დაწყებულ მიმართულებაზე.

გავჩუმდებით ჯერ-ჯერობით იმ მოვლენათა შესახებ, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ ამ მიმართულებასთან და მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ ჩვენის აზრით, ერთ დიდმნიშვნელოვან ფაქტზე, რომელმაც როგორღაც უყურადღებოთ ჩაიარა ჩვენი საზოგადოებისათვის. ეს გახლავთ ჩვენი ქართული გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს გადაწყვეტილება — ისარგებლოს მკათათვის კანონით და კერძო გიმნაზიის უფლებით და სწავლა ყველა საგნებისა ქართულ ენაზე შემოიღოს.

ეს გადაწყვეტილება ჩვენ დიდათ გვაკმაყოფილებს და გვამხნევებს. ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ქართული ენის გაძლიერება დიდ ცვლილებას განაცდევინებს გიმნაზიას და ჩვენის აზრით რადიკალურად შესცვლის მას. ბუნებრივი სიკვდილი მოელის იმ განწყობილებას, რომელიც დამყარებულია დღეს გიმნაზიასა და მთავრობის წინაშე „სიმწიფის" მოწმობის აღებისათვის და რომელიც ღრმა ტრაგიზმით და წინაამღმდეგობით ავსებს გიმნაზიის ცხოვრებას. გიმნ. იძულებული იქნება დასტოვოს თავისი უფლება, ჩვენის აზრით მეტად მავნე და მცირე ფასიანი და სამაგიეროდ დანაკარგი სხვა მხრივ აინაზღაუროს: თავის სამეცნიერო ციკლში შეიტანოს გამოსადეგარი და ცოცხალი ცნობანი და მით სასარგებლო და გამოსადეგი მუშაკნი მოგვიმზადოს. სწორედ ეს გამოიყვანს იმ უნუგეშო მდგომიაროობიდამ, რომელშიაც დღეს არის ჩავარდნილი მთელის თავის ერთი ერთმანეთისათვის მოწინააღმდეგე ცხოვრებით: დიდი ხარჯი, დიდი იმედი, დიდი ჯიგარი და სიყვარული ჩვენი საზოგადოებისა გიმნაზიისადმი და სამაგიეროთ მეოთხე კლასიდამ დაწყებული აუარებელი ხალხის გამოდევნა — საცოდავ და გამოუსადეგარ ტიპების გამრავლება, ან არაა და უკეთეს შემთხვევაში, საიუნკრო მასალის მომზადება, გადიდება სწავლის ფულისა და ამავე დროს საქველმოქმედო სადილებით კვება კლასიკურ აღზრდის გზაზე დამდგარ ბავშვებისა და სხ.! მაგრამ დაწყებული მიმართულება ამაზე წინ მიდის და აშკარა სახესაც იღებს. ამაზე შემდეგ.

სანდროშვილი.

ბელგიური ანონიმიური საზოგადოება გვარწმუნებს, რომ ეს გარემოებანი და პირობები, რომელშიაც მას უხდებოდა ამ საქმის წარმოება, ხელს არა უწყობდენ სასურველად დაეყენებინათ ტრამვაის საქმე, რის გამოც დღევანდლამდინ იგი თითქმის ზარალს აძლევდა საზოგადოებას.

ბ. ს. არდუთინსკი თავის მხრით გვარწმუნებს, თუ ბელგიურ საზოგადოებამ იზარალა ამ საქმეზე, ეს მხოლოდ იმ განსაკუთრებულ მიზეზების გამო, რომელშიაც მას მოუხდა ამ საქმის წარმოებაო. ეს განსაკუთრებული მიზეზები ეოფილა: 1) საზოგადოებისაგან დამოკიდებული მიზეზები, როგორადაც 1905 წლების სარევოლუციო ხანა; 2) ფულის საშოვნელი მძიმე პირობები და 3) უქონლობა ადმინისტრატიული გამწრაფვა-უნარისა.

საჭიროა ვიცოდეთ, მართლა აგვტდება ეს დამაბრკოლებელი მიზეზები, როდესაც ქალაქი თვითონ დაიწყებს ტრამვაის წარმოებას, თუ შესაძლებელია ამ ზემოდ ჩამოყვანილ მიზეზების ზედ კიდევ დაურთოს სხვა დამაბრკოლებელი გარემოებანი, რაც ხელს უშლიან საქმის ნორმალურ წინსვლას? აი, ჩვენი თქვენ, უმთავრესი საკითხი ეს არის და არა ის, სასარგებლოა საზოგადოთ ტრამვაის წარმოება თუ არა, ან თუ რა ხრიკები უხმარიათ. ან ქალაქების თვითმართველობას, ან ტრამვაის საზოგადოებებს რათა ერთმანეთი მოეტეუებინათ.

ქალაქის თვითმართველობას დაუკანონებია ბ. ს. არდუთინსკისათვის მასალები შეეკრიბა ტრამვაის გამოსყიდვის შესახებ. ბ. ს. არდუთინსკისაც დაუკლია რუსეთის ყველა ქალაქები და აი რა სანუკვეშო ცნობები შეუკრებია: 1) ადესის თვითმართველობას განუზრახავს ტრამვაის გამოსყიდვა. ბელგიის საზოგადოებას მოუთხოვნია 28 მილიონი ფრანკი. ქალაქი არ დასთანხმებია ამ თანხის გადახდაზედ, რადგან მისი აზრით ეს ჯამი არ შეებაძებოდა ქალაქისგან გამოანგარიშებულ ტრამვაის ეოველ წლიურ მოგებას და ამიტომ შეუძლევია მხოლოდ 19 მილიონი ფრანკი. ბევრი დავიდარაბის შემდეგ ქალაქს უარი განუცხადებია გამოსყიდვაზედ და ბელგიის საზოგადოება წინანდებურად განაგრძობს ტრამვაის წარმოებას; 2) ვერც ქ. ხარკოვს მოუხერხებია „კონის" გამოსყიდვა და ეხლა თურმე იმის ცდაშია, რომ რაიმე ხრიკებით აიძულოს საზოგადოება „კონის" გადმოტემაზედ; 3) თურმე კიევის თვითმართველობა ჩვენსავე მდგომარეობაშია, იმასაც უნდა გამოისყიდოს, რადგან, როგორც ისინი თურმე ანგარიშობენ, 1924 წლისათვის, თუ საქმე კარგად წავიდა, წმინდა შემოსავალი 5 მილიონამდე დარჩება- (კარგად დაკვირდით, მკითხველო, რომ ეს მოგება ნავარაუდევია 1924 წ. და სწორეთ მოგახსენოთ რად არის ამორჩეული ეს წელიწადი ან რა თვისი აქვს

ინ-ბანი.

ტრამვაის გამოყიდვის გამო

საკითხი ის კი არ არის სასარგებლოა ტრამვაის წარმოება, თუ არა? სასარგებლო რომ არ ეოფილიეო, ხომ არავინ მოკიდებდა ხელს ამ საქმეს,—არამედ განსათვალისწინებელია და ასწონ დასწონავია ის გარემოებანი და პირობები, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ და უზრუნველ ჰყონ სარგებლიანობა ასეთი რთული წარმოებისა როგორც არის ტრამვაი.

ასეო ცნობებს, ვერ მივხვედრილვარო) 4) ქ. მოსკოვს ორი კონცესიონერი ჰყოლია: პირველს თავის წმინდა შემოსავალი უანგარიშია 485,131 მან.; რაც ქალაქს უნდა ეხადა კონცესიის ვადამდე. ქალაქს ეს მოგება გაზვიადებული სჩვენებია: როგორც შემოსავალი, ისე გასავალის ჯამებში ბევრი ისეთი შემოსავალი და დანახარჯები ადმოაჩინეს, რაც არ უნდა ეოფილიეო ანგარიშში შეტანილი; ამ რიგად ქალაქმა წმინდა შემდსავლის ჯამი შეამოკლა 408,573 მ. სზოგადოებამ თურმე არ დაუთმო და ბოლოს სზოგადოებამ თვისი გაიტანა მეორე სზოგადოება თვითონ ეჩვენებოდა, შეისეადეთ ახალი საქმეო და იმასთანაც მორიგება გაათავა ქალაქმა; 5) ბევრი დავიდარაბა გადახდენია ქ. პეტროგრადს. საქმე გაურჩევია საოლქო სასამართლოს, ორჯერ პალატაში ეოფილა საქმე და ორჯერაც სენატში. ბოლოს და ბოლოს ქ. პეტროგრადს უნდა გადეხადნა ნაცვლად 480 ათასი მან., 548 ათასი მან. წლიურად, გარდა ამისა ერთბროულად, კიდევ ზედმეტი უნდა გაედო 1.700,000 მან. მიუხედავად ამისა, ბრძანებს ს. არდუთინსკი, ძირითადი სადავო კითხვები ბოლოს და ბოლოს ქალაქის სასარგებლოდ გადასწყდაო და ეს გარემოება ძალიან ახარებს მას და საგულისხმიერად მიაჩნია ჩვენთვის. აი თურმე რა ეოფილა ეს ძირითადი სადაო კითხვები: 1) აქვს თუ არა ქალაქს გამოსყიდვის უფლება; 2) გამოსყიდვისთანავე მთელი სზოგადოების ინვენტარი უნდა გადავიდეს ქალაქის ხელში ესასყიდლოდ თუ არა; აქვს თუ არა ქალაქს გამოსყიდვის შემდეგ უფლება იმ მოგებაზედ, რომელიც მას დარჩება წარმოებიდგან. ერთხელ თურმე პალატამ ამ კითხვებზედ უარეოფითი გარდაწყვეტილება გამოიტანა. მეორედ კი ქალაქს მიანიჭა ეს უფლება.

ბ. ს. არდუთინსკიმ იმიტომ მიაქცია ჩვენი ეურადღება ამ კითხვებზედ, რომ მას ის კი არ აინტერესებს, თუ როგორ უნდა ვაწარმოოთ ეს საქმე, რომ ქალაქმა არ იზარადოს, არამედ იმისი ეშინიან, ვაი თუ ეხლაც, ისე როგორც ერთხელ დაემართა ჩვენ ქალაქს, ვინმემ ხელი შეგვაშალოს და გამოსყიდვის უფლება ჩამოგვართვასო. თორემ ბელგიის სზოგადოება, პირიქით თვითონ შეეხვეწება გამოისყიდეთ, ოღონდ კარგი სასყიდელი მოგეცითო.

იმ სადაო კითხვას კი რომელიც შეეხება წლიურ გადასახადს ბ. ს. არდუთინსკის თავისებურად აფუჩეჩებს, ამ კითხვის გამოურკვევლობამ ხელი არ უნდა შეგვიშალოს, რადგან სენატის გადწყვეტილებით, ეგ სადაო კითხვა—თუ რა უნდა ვიგულისხმოთ წმინდა მოგებათ და ამისა დაგვარად რა გადასახადი უნდა აძლიოს ქალაქმა ბელგიის სზოგადოებას—შემდეგში სასამართლო გაარჩევსო. სადაო კი ძალიან საგულისხმიეროა: სზოგადოების ანგარიშით ქალაქმა უნდა იხადოს 16 ნახევარი წლის განმავლობაში 448 ათასი მანეთი, ქალაქის ანგარიშით და მხოლოდ 77 ათასი მანეთი.

ერთიც ვნახოთ სასამ რთლომ ბელგიის სზოგადოების სასარგებლოდ გადასწყვიტა. განა შეუძლებელია ეს მოხდეს? აგერ ქ. პეტროგრადმა ერთხელ, როგორც ბ. ს. არდუთინსკი მოგვითხრობს, ვერ გაიმარჯვა ისეთ ნათელ კითხვაში, როგორიც იყო გამოსყიდვის უფლება ნათლად ადგილრებულ ხელშეკრულობაში. რა გასაკვირალია ამის შემდეგ რომ ქ. თბილისმა წაგოს სადაო საკითხი წლიური გადასახადისა! მაშინ რა ეშველება? რა წუროდგან უნდა აძლიოს ეოველ წლის და 16 ნახ. წლის განმავლობაში ზედმეტი 370 ათასი მანეთი ბ. ს. არდუთინსკი გვარწმუნებს, ქალაქი უთუოდ გაიმარჯვებს ამ სადაო კითხვაში; მიუხედავად ამისა, მაინც სიფრთხილე გვმართებს, რომ ბრმად არ მივეპურათ მის რწმენებს, რადგან ჩვენ ვიცით, რომ იგი გატაცებული მომხრეა სოციალიზმ წესით შეურნეობისა ეოველ საქალაქო წარმოებაში და ასეთი გატაცებული ადამიანი ხშირად უნებლიედ თვალსა და ყურს არიდებს, რაც მის მისწრაფებას ეწინააღმდეგება.

მაგრამ ვსთქვათ, სასამართლომ მიუდგომლად გადასწყვიტა სადაო საკითხი და მიუსაჯა ბელგიის სზოგადოებას თავისი კუთვნილი. ამ შემთხვევაში ტრამვაის საქმე სახითეთო არ იქნებოდა ქალაქის ხელში, თუ მისი წარმოება ნორმალურ პირობებში იქნებოდა და ქალაქის გამგეობაც საკმარო ცოდნასა და უნარს გამოიჩენდა ამ საქმის წარმოებაში. სამწუხაროდ დღეგანლამდე ჩვენ ქალაქის თვითმართველობას, არც წარსულში და არც უფრო აწმეოში, არც ერთი საქმე არ უწარმოებია ისეთ ნორმალურ პირობებში, რომ მის დაწყებულ საქმეს—უნარი და საქმიანობა ეტეობოდეს—თვალსაჩინო ნაყოფი გამოეღოს. ამიტომ ჩვენ ვეჭვობთ ისეთი რთული საწარმოო საქმე, როგორიც არის ტრამვაი, ჩვენ თვითმართველობ.ს ჯეროვან წესით წაიეგანოს.

ეს მარტო ჩემი კერძო აზრი არ არის: პირველად იგი აქ წარმოსთქვა, გამგეობის წევრად ნამეოფმა ბ-მა ნ. არდუთინსკიმ, როდესაც პირველად შეიტანა წინადადება ტრამვაის გამოეიდვისა ბ. ს. არდუთინსკი გადაჭრით ბრძანებს: ქალაქის თვითმართველობა ამ საქმეს ვერ აწარმოებს ისე, როგორც მას აწარმოებენ საქმეში გამოცდილნი ბელგიელებიო. რომ ზარალიდ.ნ დაზღვეული ეოფილიეო ჩვენი ქალაქი, იგი ურჩევდა გამგეობას, რა წამს გამოიეადით, იმ წამსვე გადაეცით სხვა მოიჯარადრეს, თუნდაც უფრო მცირე გადასახადით, ვიდრე ტრამვაის შემოსავალი იძლეოდა. ამასთანავე დასძენს: ქალაქს რომ შეძლება ჰქონდეს დაჰეფარეს ის ზარალი,

რაც მას უეჭველად ეოფელ წელს მოუვა. თუ რომ ტრამვაის თვითონ აწარმოებს, მაშინ რასაკვირველია, შიმხრე ვექნებოდი, ტრამვაის წარმოება ქალაქის ხელში ეოფილიეოფო.

ალბად იმიტომ ამბობს ამას ბ. ნ. არდუოინსკი, რომ თავის შეკობარს ბ. ა. არდუოინსკის არ აწუენინოს; თორემ სხვა რა აზრი უნდა ჭქონდეს ასეთ განცხადებას!

მაგრამ, უკეტრავად ნუ ვექნები ბ. ნ. არდუოინსკისთან, და ვიტუვი, რომ იმაზე ადრე კიდევ სხვების ეოქვამთ, ტრამვაის საქმის წარმოება ისე ადვილი საქმე არ ეოფილა როგორც ბ. ა. არდუოინსკის წარმოუდგენია. ეს ალბად თვით ბ. ა. არდუოინსკისაც გაუგონია, მაგრამ ამნაირ ცნობების შეკრება. რომ მის ბროგრამაში არ შედიოდა! ასეთი ცნობების გახსენება ეწინააღმდეგებოდა ჩვენი ქალაქის თვითმართველობის სურვილს და მისწრაფებას და აკი ამიტომაც აუხვევია გვერდი.

მე მინდა გავახსენო ბ. ა. არდუოინსკის ის სტატისტიკური მასალები, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც გამოაქვეყნა ახენის ბოლიტეხნიკუმის ბროფესორმა ბ. ბასოგუმ. მართალია ეს ცნობები გერმანიის ქალაქებს შეეხება თვით ავტორიც ამ სტატისტიკურ ცნობებისა გერმანელია; ერთიც და მეორეც დღეს როგორღაც აბუჩად აგდებულია; არც მე გავიდავდი ამ წეარროზედ მითითებას, რომ ჩემზედ წინად იგი ქებით არ მოეხსენიოს რუსეთის საფინანსო აგენტს ბ. საფალოვიჩს, რომელმაც ამ სტატისტიკურ მასალას თავის დროზედ ვრცელი წერილი უძღვნა ეურნალ „Economiste funçis“-ში.

აი რას მოგვითხრობს იგი: იეო დრო (ჩვენ ქალაქისათვის კი ეს დრო ჯერ არ გასულა) როდესაც ეგელა ქალაქების თვითმართველობანი დაეინებით მაისწრაფოდენ საქალაქო წარმოებათა მუნიციპალიზაციისაკენ. ასეთმა მისწრაფებამ გამოიწვია ქალაქების საშინელი დავალიანება. მოლოდინი კი იმ მოგებისა, რომელსაც ამისგან გამოელოდნენ არ გაუმართლდათ: ისეთი სრული წარმოება, როგორიც არის ტრამვაის საქმე სხვანაირი ბატრონის ხელს საჭიროებდა.

მოეგანიდია რამდენიმე ცნობები ტრამვაისა,, რომელთაც ქალაქები აწარმოებდენ. ამ რიცხვში ტრამვაის შემოსავალი მხოლოდ ძლივ-ძლივობით ფარავს თურმე საეკსპლუატაციო ხარჯს. დარჩენი 27 ტრამვაის შემოსავალი ხარჯებს ვერ ფარავს და ზარალს აძლევს ქალაქებს, რომელიც ამის გამო დიდ გასაჭირში ჩავარდნენ. მერე რა არის ამ ზარალის მიზეზი? ამის ბასუხს იძლევიან სხვა და სხვა ქალაქის თავების მოხსენებანი, რომელნიც დამახასიათებელი არიან გერმანელ საზოგადო მოღვაწეთა რაინდულ გულახდილობისა სიმართლის ძიებაში. რასაკვირველია, ასეთს რაინდობას ჩვენ ვერ მოგსთხოვთ თბილისის დღევანდელ ქალაქის გამგეობას, მაგრამ მე ვურჩევ ეველა ქართველს ხმოსანს გადიკითხოს ეს მოხსენებანი, რათა ეველა ადვილად მიხვდეს იმ გულის ადმაშფოთებელ სინიდისის ქენჯნას, რომელმაც ერთხელ ბ. გ. ეურულიც კი აიძულა საჯარო ბროტესტით გამოსულიეო...

ტრამვაის საქმის წარმოება ქალაქის თვითმართველობის ხელში! როგორ გნებავთ უარი ეოქვას იმ გვგლენიან ხმოსანს, რომელსაც სწადია უსაქმოდ დარჩენილ თავის ძმისწულს ინჟინერის ადგილი მისცე! ან რას იზამთ როდესაც ტრამვაის გამგეთ ასახელებენ მეორე გვგლენიან ხმოსანს, ან მის ნათესავს, რომელსაც თავის სიცოცხლეში უბრალო საქმეც კი არ უწარმოებია! როგორ ეტუვით უარს იმ ასსა თუ ორასს სხვა ხმოსნებს, რომელთაც უნდათ თავ-თავიანთ ნათესავების თუ მეკობრების ჯამაგირიანი ადგილები ადმოუჩინოთ, და ამნაირ ბიროობებში შერჩეულმა ინჟინერებმა, დირექტორებმა და მოსამსახურეებმა, როგორ გნებავთ რომ აწარმოონ ისეთი რთული საქმე როგორიცაა ტრამვაის საქმე?

აი, მოკლედ რომ მოგჭრათ, შინაარსი იმ რაპორტებისა რომელიც საგანგებოთ არის მოეგანილი ბ. ბაბოგის წიგნში. ასეთ ბირობებში უნდებოდა მუშაობა ტრამვაის იმ ქვეყანაში, სადაც საზოგადოებრივი ინტერესების შეგნება, უკეტრავად ნუ ვექნები ჩვენ ხმოსნებთან, უფრო მაღალ წერტილზედ სდგას, ვიდრე დღეოგვიდ ჩვენ ქვეყანაში, სადაც ტეხნიკა უფრო განვითარებულია, სადაც ტეხნიკოსები და მცოდნე საქმეში, გამოცდილი ბირები უხვად მოიბოვებიან. მერე, რა გზას დადგომიან ამ ქვეყანაში ქალაქების თვითმართველობანი? ნუ თუ ისევ ძველ წესს დაადგებოდნენ და არ სჯიდნენ ისეთ კომბინაციის განხორციელებას, რომელსაც შეეძლო გაუმჯობესება ამ სარგებლიანი საქმის წარმოების ბირობებისა! რაკი დარწმუნდნენ ქალაქს არ შეეძლო ეწარმოებინა ეს საქმე ზემო ხსენებულ ხელშემშლელ ბირობების გამო. მაშასადამე ქალაქებს ხელი უნდა აეღოთ ადმინისტრაციაზე და საქმის გამგეობა გადაეცთ ისევ მათთვის, ვინც შეტის გამოცდილებით და უნარით განაგებდა ამ საქმეს ე. ი. ისევ საკუტიონერო საზოგადოებისათვის, მხოლოდ რადა მოგება და საქმის ბატრონობა ხელიდგან არ გამოსცლიათ. თვით ქალაქები გამხდარიეკენენ აქციონერებათ. ამნაირად ქალაქებმა მოიწვიეს კერძო კაპიტალები საქალაქო მეურნეობაში—იმ ბირობით კი რომ ამ უკანასკნელთ ეძლეოდათ სრული ავტონომია საქმის საადმინისტრაციო ნაწილში.

ამნაირი ახალი წესი მეურნეობისა. არამც თუ რამ ისე ახალი ეოფილა. მას უკვე 15 წლის ბრაქტიკა აქვს

გერმანულ ქალაქებში და შედეგიც მეტად ნაყოფიერი გამოუდია. ჩვენც ჩვენის მხრით დაუმატებთ, რომ ასეთი წესი წარმოემისა დიდი ხანია რაც შემოდებულია ბელგიაშიაც ეგრედ წოდებულ Tramvays et chem. de f. vicin. ექსპლუატაციაში.

ნუ თუ ეგვლა ასეთი მასალების გაცნობა მეტი იქნებოდა ჩვენი ქალაქის ხმოსნებისათვის. ასეთი მასალების მოსაპოვებლად ხომ არც ხარჯი და არც მოგზაურობა არ დასჭირდებოდა ბ. ა. არდუთინსკის. მაგრამ ნურც იმას ვიფიქრებთ, რომ ბ. ა. არდუთინსკის არა სცოდნოდეს ამ მასალების არსებობა. მან ეგვლაფერი კარგად იცის; მხოლოდ ის სამართლიანად ფიქრობს, რომ თვით ხასიათი მეურნეობისა, რომელსაც იგი და მისი მომხრენი აწარმოებენ ქ. თბილისში, სრულიად შესადარებელი არ არის სხვა ქალაქების მეურნეობასთან.

ეგვლგან საქალაქო მეურნეობას საფუძვლად უდევს მცხოვრებთა კეთილ დღეობა, თავისი ბერდაბერი დანიშნულება იგი უნდა აკმაყოფილებდეს მცხოვრებთა საჭიროებას და აძლიერებდეს ქალაქის სახსარს ათასგვარ საკულტურო დაწესებულებათა კასაძღოლად,

ბრესის სიხარული ტრამვაის გამოსეიდვის გამო. ჩვენც კარგათ გვესმის საზოგადოებრივი მნიშვნელობა საქალაქო წარმოებათა მუნიციპალიზაციისა,

ტეზრელი.

სევასტოპოლის დეპეშის გამო

წარსულ ნომერში ჩვენ მოყვანილი გვქონდა დეპეშა „სევასტოპოლიდან“, რომლის უმგვანმა ინსიცუაციამ მთელი ქაროველობა ააშფოთა და ერთსულოვანი პროტესტი გამოიწვია. ჩვენ იძულებულნი ვართ დღეს მოვიყვანოთ მეორე დეპეშა იმავე სააგენტოსი, გამოწვეული ამ პროტესტით და პატარა განმარტება მივცეთ უკანასკნელი დროის ამბებსა...

(Черезъ петрогр. телегр. агентство).

ПЕТРОГРАДЪ. 10 го марта. Петроградское телеграфное агентство, опубликовывая телеграмму от 4-го марта изъ Севастополя, передаюшую донесеніе германскаго емиссара изъ города Вице, предполагало, что всѣмъ будетъ ясно, что заключающіяся въ ней свѣдѣнія представляютъ интересъ, какъ образецъ постоянныхъ пріемовъ, къ какимъ прибѣгаетъ германская дипломатія, стремящаяся всюду вносить смуту и раздоръ. Благодаря горячему патріотизму грузинскаго населенія эти пріемы не удались и сама жизнь блестяще опровергла всѣ нѣмецкіе расчеты. По этимъ соображеніямъ петроградское телеграфное агентство и не считало нужнымъ сопровождать опулбикованіе этой телеграммы какиии-либо комментаріями.

ფინანსიურ პოლიტიკასაც აწარმოებს ჩვენი ქალაქის თვითმართველობა ეს დღეს ეგვლასათვის დღესვეთ ნათელი უნდა იყოს და ამიტომ უფრო გვაკვირვებს ქართული

სინამდვილე კი იმაშია, რომ პოლიტიკაში მეფობს იმ ანდაზის სული რომელიც ამბობს: „სიკეთისათვის სიკეთე არავის უქმნიაო“.

ომის დაწყებიდან ქართველი ახალგაზრდობა მთლად გაიხვეტა, მობილიზაციამ საქვეყნოდ დაამტკიცა რომ რუსეთში მოსახლე ერთაგან არავინ ისე გაბედულად და წარმოიდგინეთ,—მხიარულადაც არ შეხვდა ომს, როგორც ქართველობა; გაიღო მსხვერპლი, რამდენიც გაეღებოდა მის ხელმოკლე ბიუჯეტს და მაინც ჰაერში მუდამ ტრიალებს რაღაც უნდობლობის, რაღაც ეჭვების სუნი, რომლის გადევნებას მუდამ იქით მივყევართ, საცა თავიდანვე დაიწყეს ინსინუაციები ,,სტამბოლის ხაჩაგოგებიდან‘‘. უკანასკნელი ,,დოკუმენტი‘‘ ,,სევასტოპოლიდანაც‘‘ იქაა შეთხზული, იმ ბანაკში, საცა მუდამ სცდილობენ სხვისი სახელის გატეხით თავისი გაიკეთონ. მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აბიაო, ნათქვამია, და ყოველთვის გამომჟღავნდება ხოლმე ასეთი ხრიკები.

ჩვენი სავალალო მხოლოდ ის არის სწორედ, რომ ყველას ფეხის წამოსაკრავი ჩვენა ვხდებით და უბრალო ჭორი, შეთხზული დეპეშა და სხ. ხდება საკმარისად, რომ ჩვენი თავმოყვარეობაც შეილახოს, რომ დიდი ენერგია გვახარჯვინოს ინსინუაციების გასაფანტავად და ყოველთვის ზედმეტად გვაფიცოს იმ ერთგულებაში, რომელსაც სხვებზედ მეტად ვიჩენთ.

ჩვენის ღრმა რწმენით, ჩვენ ერთხელ და საუდამოდ უნდა მოვითხოვოთ, რომ ალაგმულნი იყვნენ ჩვენი მტრები და არ შეეძლოთ არც პირებს, არც რომელიმე ჯგუფებს ქართველი ერის შესახებ პოლიტიკური ჭორების გავრცელება.

ჩვენი მოვალეობაა ღირსეულად დავიცვათ ჩვენი თავი ჭუჭყიან ინსინუაციებისაგან და არა ავლავლავდეთ ხოლმე მარტო იმ შემთხვევებში, როდესაც ბნელი ძალები გამოუშვებენ მორიგ ცილისწამებას, ,,კიდევ ერთი დოკუმენტის‘‘ სახელით. ომი ჯერ არ გათავებულა, პოლიტიკური ზრახვანი ათასი ავანტიურისტებისა ეგრე მალე არ გაქრება და ზედმეტად ენერგიის ხარჯვად ნიგვაჩნია მთელი ერისაგან პროტესტების და უკმაყოფილების გამოცხადება. ამისათვის არსებობს სახელმწიფო ძალა, რომელიც ვალდებულია ჩვენც ისე დაგვიცვას, როგორც რუსეთის ყველა სხვა მოქალაქენი და ვიგინდარეების საოირეველად არ გახადოს ჩვენი პატიოსანი სახელი. ეი საით უნდა მივაპყრათ ჩვენი ყურადღება და ჩვენი ოფიციალური დაწესებულებანი ვალდებულნი არიან განახორციელონ ესა. სანამ ამ მხარეს არ მიექცევა ჯეროვანი ყურადღება ვისაგანაც ჯერ არს, იმ დრომდე ჩვენ გარანტია არ გვექნება, რომ ყოველ კვირა არ გამოცხვება თითო რამ ჭორი, რომელიც გადაგლახავს დაბალი ღობესავითა.

ჩვენ კი უნდა დავუმტკიცოთ ქვეყანას, რომ ჭორი წარმავალია, ერის ერთქმნილი სული და საქმენი კი აქ დარჩებიან. ქართველი ეოი არასოდეს არ დაივიწყებს ისტორიის მიერ მინდობილ მისსიას და ყოველთვის შესძლებს თავისუფლად ჩამოირეცხოს ის ჭუჭყი, რომელსაც ხელთათმანად აცმევენ ვიგინდარას ჭუჭყიანი ხელები!

რ. ბ.

წმინდა ანდერძი

ძნელი წარმოსადგენია ისეთი ღირსეული დაგვირგვინება დიდებულ მოღვაწეობისა, როგორც ეს დიდებულმა ქართველმა აკაკიმ მოიმოქმედა. მისმა ანდერძმა ქართული ხალხური პოეზიის შესახებ—დიდს ეროვნულ საქმეს ჩაუყარა საძირკველი. თავის მდიდარ და ნაყოფიან ცხოვრებაში მცირედი ძალა და ნიჭი არ შეულევია განსვენებულს ამ საქმისათვის და უკანასკნელი სურვილიც, უკანასკნელი სიტყვა მომაკვდავისა, რომელიც წმიდა და გაუტეხავი უნდა იყოს ყველა ქართველისათვის— იყო დიდი ზრუნვა ამ ხალხურ შემოქმედებაზე. ესეც რომ არა ყოფილიყო, თვითონ აკაკის შემოქმედება ისეა ჩართული ხალხის შემოქმედებასთან, ისეთის ძლიერის კავშირით არიან ისინი შებოჭილნი, აკაკი ისე ახლო განიცდიდა ხალხის, თავისებურის სილამაზით და მომხიბვლელობით სავსე, მსოფლმხედველობას, ლაპარაკობდა მისის ენით და ხალხის შემოქმედებამ ისეთი საკუთარი გამონასახი ჰპოვა აკაკის შემოქმედებაში—რომ ეს ყველასათვის ცხადი უნდა ყოფილიყო და უთქმელადაც ყველას უნდა გვცოდნოდა, რომ საუკეთესო ძეგლი დიდებული ადამიანისა სწორედ ამ, მისთვის ძვირფას და ერისათვის კი კულტურულ ცხოვრების ფუძის, მოვლა-პატრონობა უნდა ყოფილიყო.

ხალხური შემოქმედების მნიშვნელობა ცხადი ყველასათვის, მერე ისეთი შემოქმედებისა, რომე-

ლიც საუკეთესო თვალ-მარგალიტათ გამოჩნდება უგანათლებულეს ერის კულტურულ საუნჯეშიაც კი და როგორიც არის ქართველი ხალხის სულიერი შემოქმედება. ერთი დიდი დანაკლისი ჩვენის ცხოვრებისა გახლავთ ის, რომ ჩვენ არ ვიცნობთ ჩვენს წარსულს, მის მომხიბვლელ და ღრმა შინაარსით სავსე სულიერს საუნჯეს, არ ვიცნობთ, არ გვიყვარს იგი, ვერ ვამაყობთ მითი, ვერ ვიმსჭვალებით მისდამი პატივისა და თაყვანის ცემით და ამით შეუდრეკელათ ვერ ვიბრძვით მის შელახვის წინააღმდეგ. ეროვნულ მიმართულებას გარკვეულ და სწორე გზას ვერ ვაძლევთ, ღირსეულ პატივისცემას სხვისგან ვერ ვთხოულობთ, შესაფერ აწმყოს და მომავალს ვერ ვუმზადებთ.

ერი მაშინა სდგას საღ ეროვნულ გზაზედ — თუ იგი ამაყია თავის წარსულით, იბრძვის მის შესაფერ ხვედრისათვის მომავალში! და აი ამ დიდი საქმის პირველი ნაბიჯი, წარსულის და მის სარკის, ხალხური შემოქმედების გაცნობა, მოვლა პატრონობა არის.

თუ დაჰკარგა ერმა ეს განძი — მას დაკარგული აქვს ფუძე და დედა თავის ეროვნულ ცხოვრებისა, ეროვნულ ლტოლვილებისა და მისწრაფებისა. არას დროს ისეთი საფრთხე ხალხურ სულიერ განძს თავზე არ დასტეხია, როგორც ამ ჩვენ დროში დაატყდა.

ამისათვის უფრო ღრმა მნიშვნელოვანი ხდება უკვდავი მოხუცის სურვილი და გვავალებს ვწყობრათ შევკავშირდეთ იმ საზოგადოების გარშემო, რომელსაც დააკისრა აკაკიმ ეს დიდი საქმე, ყველამ თავისი წვლილი შევიტანოთ, დახმარება გავუწიოთ და მით დიადი ეროვნული საქმე ღირსეულად შევასრულებინოთ ჩვენს ისტორიულს და ეთნოგრაფიულს საზოგადოებას, მოანდერძეს დიდებული ადამიანის დიდებული სურვილი. ძნელი მაგრამ სამადლო და საპატიო საქმეში ერის სიამაყის, სათაყვანებელ მოხუცის პატივისცემა ჩვენი გამამხნევებელი იქნება და ღირსეულ წინამძღოლობასაც გაგვიწევს იგი!

ამ საქმეს დაჩქარება უნდა, რადგან, როგორცა ვთქვით, სწორედ ეხლა მოელის ჩვენს ეროვნულს შემოქმედებას დიდი ხიფათი და უკულმართ გავლენას ასეთის ხიფათისას უკვე განიცდის იგი. მმუსრავთ თემურს და შაჰ-აბაზს ისეთი მუქარით არ შემოუტევიათ ეროვნული ნამოღვაწარისათვის, რა მუქარითაც ახალი ცხოვრება ეპყრობა მას. დღევანდელ ცხოვრებას, შრომის გამოცვლით, ელექტრონით და ორთქლით თავისი გემოვნებანი და აზროვნება შეაქვს სოფელში. აღძრული და აჩქარებული ცხოვრება ავიწყებს ჩვენს გლეხს ძველს, ახალს, საერთო ნიადაგზე აღმოცენებულს, აწვდის, შლის ეროვნულ შემოქმედების ინდივიდუალობას. ვინ შეაჩნევს, თუ როგორ გამოდევნა „მჭკვიტინა“ „ბუზიკამ“ (გარმონი) ჩვენი ეროვნული საკრავები? ვინ ამჩნევს, რომ იქ, სადაც მანქანებით დაიწყეს მუშაობა ძველი სიმღერა აღარ ისმის, ძველი, ხალხის შეხედულობის გამომხატველი სიტყვები აღარ ისმიან? „მაღალტილკაზე“ და სამკალ მანქანაზე — ჰოროველას და ჰოპუნას და მათში ჩაქსოვილ ჩვენ სოციალურ ცხოვრების გამოხატვას — ადგილი აღარა აქვთ. მალატილკა და მანქანები საჭიროა ჩვენი არსებობისათვის, სიმღერების, ძველი ლექსების მოკრება, პატრონობა საჭიროა ჩვენი ეროვნული ცხოვრებისათვის, ჩვენი ეროვნული ინდივიდუალობისათვის.

შ—ძე.

კახეთის რკინის გზა

შემთხვევით მომიხდა კახეთში წასვლა ახალი რკინის გზით. და იმ აღფრთოვანებამ და თავგამოდებამ, რომელსაც იჩენდა ჩვენი ჟურნალი ამ დიდი საკითხის გადაჭრის დროს — ცოტა არ იყოს ყურები ჩამოყარა. მართალია ჯერ მხოლოდ „დროებითი“ მიმოსვლაა და მაშასადამე ბევრი ნაკლი გამოსწორდება, მაგრამ მაინც ეტყობა ზოგიერთ მხარეს თავიდანვე არანორმალური მსვლელობა. ჯერ ერთი ყოველ ახალ გზაზედ სცდილობენ შემოიღონ ყოველგვარი გაუმჯობესებანი, რადგან თავიდანვე ეს ნაკლებ ხარჯს იწვევს; ვიდრე შემდეგი შეწორებანი; კახ. რკ. გზას კი ეროფერში ატყვია უკეთესობა. პირიქით ვაგონები ისევე პატარა და მოუწყობელია, როგორც ამიერ კავკასიის სხვა რკინის გზებზედ. მოკლე და ვიწრო საჯდომ-საწოლები, იგივე მბჟუტავი განათება სანთლის ნაპწვებით და სხ. და სხ. გზის ფასი ნაკლები კი არა — მეტია „დილიჟანისაზედ“ და ამასთან დროსაც იმდენს ანდომებენ, როგორც „დილიჟანები“. ყოველ სადგურზედ უნაყოფო და უაზრო „მანევრები“, ყველგან „უფროსებისათვის“ პრივილეგიები და სხ. აორკეცებენ დროსა. ჩვენ, მაგ., ხუთი საათის მაგიერ, თელავში მივედით რვის ნახევარზედ. ახლა სადგუ-

რიდან ასვლა თელავში ერთი საათი და ერთი მანეთი ფასი—და თქვენ იძულებული ხართ იფიქროთ: დაილოცა ისევ ძველი ,,დილიჟანიო''.

მაგრამ ამ წვრიმალებს უფრო დიდი ნაკლიც მოსდევს: მთავარი ძარღვი შემოსავლისა—საქონლის ზიდვა, სრულიად მოუწესრიგებელია და უფრო ძვირად ჯდება, ვიდრე ძველებურის წესით. ჯერ ერთი რაღაც ,,საინჟინრო მეცნიერების'' მოწყალებით, არც ერთი სადგური არ არას მოქცეული სადმე სოფელში, არამედ ყველგან დაშორებულია დასახლებულ ადგილებს—ეს რასაკვირველია აძვირებს და მომავალშიაც ძალიან გააძნელებს საქონლის მიტანას რკინის გზაზედ. ახლა მიტანილი საქონელი რამდენ ხანს უნდა ეყაროს სადგურზედ—დამოკიდებულია ყოველი მოხელის სურვილზედ და ეხლავე გვესმოდა საჩივრები: მოხელეებმა ახალი წყარო იპოვეს შემოსავლისა: რიგის დათმობაო. ჩვენ თვითონ რამდენი ვნახეთ ღვინის ბოჩკები ცარელი თუ სავსე, მატყლით ტომრები—დაყრილი გარედ წვიმასა და მზეში მაშინ, როდესაც ცარიელი ვაგონები აქეთ იქით მიდიოდნენ. ახლა წარმოიდგინეთ ის ყოვლად უხერხული წესი, რომ მთელი საქონელი უნდა ჩამოიყროს ნავთლუღში—7—8 ვერსის მანძილზედ თბილისიდან, იანგარიშეთ ორჯელ-სამჯერ გადაწყობ-გადმოწყობა ვაგონში და ვაგონიდან და თქვენ მიხვდებით ადვილად თუ რატომ გვხდება კახეთის ძველ გზებზედ აუარებელი ურემი და ,,ფურგონი'' დატვირთული ყოველგვარი საქონლით და ნამეტნავად ღვინით.

ნავთლუღში საქონლის ჩამოყრა და მგზავრების შეჩერება, ვიდრე ამიერ კავკასიის რკინის გზა მოისურვებდეს ხოლსე ამას—ერთ-ერთი უაღრესი ნაკლთაგანია კახ. რკ. გზისა, რომელიც სულ ახლო მომავალში უნდა გამოსწორდეს, თუ არა სურთ პატრონებს ამ გზას მნიშვნელობა და შემოსავალიც დაუკარგონ.

ჩვენ არაფერს ვიტყვით თვით ლიანდაგის უსწორ-მასწორობაზედ, მატარებლების ნელრევასა და რყევაზედ, რადგან ყველა ეს—დროებითია, მაგრამ ცოტა ხანს უნდა შევჩერდეთ ორ მნიშვნელოვან და ჩასაფიქრებელ მოვლენაზედ. ჯერ ერთი ლიანდაგი ზოგიერთ ადგილას მეტად გაგრძელებულია, თითქო საგანგებოდ, როდესაც ეს ,,საინჟინრო მეცნიერებითაც'' არ არის გამოწვეული და მეორეც—ეს უკვე ბუნების ბრალია—მიწა ყველგან მეტად ფხვიერია, რაც გამოიწვევს დიდძალ ხარჯებს გზის რემონტზედ, აი სწორედ ამ უკანასკნელი გარემოებისათვის უნდა მიექციათ ყურადღება და გზა რაც შეიძლება შეემოკლებინათ მაგრამ ეს სრულებით არ ეტყობა.

გარეგნულად გზა არაფერს გასაოცარს არ წარმოადგენს, გარდა ჩალაუბნის ულელტეხილისა, საცა გზა იკლაკნება გველივით რომ ათასგვარ ხვრელსა, ღელესა და აღმართ-დაღმართს გაუსწოროს ჰორიზონტის ხაზი; ეს ხაზი მაინც გაუსწორებელი რჩება და მეორე ორთქლმავალი, რომელიც ბოლოდანა შველის მატარებელს—ხან ქშინვითა და მთელის ძალ-ღონით აწვება ვაგონებს, რომ აღმართში აიტანოს მძიმე ტვირთი, ხან უცნაურად დაშორდება ხოლმე, თავდაღმართში, და შორი-ახლოდან მისდევს უსაქმური მაყურებელისავით.

ყველა ზემოხსენებულს ემატება უწყლოობაც სადგურებზედ, რასაც ეხლავე უნდა მიექცეს ყურადღება. სადგურებზედ სდგას ჩვეულებრივი ბოჭკები ან ქვევრები, საცა ყველა თავის ხელებსა და ჭურჭელსა ჰყოფს, თუ წყალი არის, და ამ გვარად ხელს უწყობს ყოველგვარ ავადმყოფობის გავრცელებას.

თავად-აზნაურობა, რომლის ხელშიაც უნდა გადავიდეს ეს გზა—მოვალეა ყურადღება მიაქციოს ყველა ამ ნაკლს, რომ მგზავრი და საქონელი მიიზიდოს მოგების გასადიდებლად მომავალში და შეიმციროს მოსალოდნელი ხარჯები, როგორც ერთდროული, ისე ყოველ წლიური.

მგზავრი.

მეაბრეშუმეებო, დააჩქარეთ თესლის შეძენა!

უდიდესი ოფისაგან გამოწვეული შიში, რომ წელს უცხოეთიდან აბრეშუმის თესლს არ შემოიტანდნენ და ჩვენი ქვეყნის მეაბრეშუმეები უთესლოთ დარჩებოდნენ, ჩვენდა სასიხარულოდ არ გამართლდა. დიდის ცდისა და მოვრობისთუ საზოგადო ორგანიზაციების დახმარების შემდეგ უცხოელ შეთესლეთ მოახერხეს ახალ არა ჩვეულებრივ გზით თესლის შემოტანა. მხოლოდ წინად თუ თესლის შეშოტანას ორი ან სამი კვირა უნდებოდა გზაში წელს ორი და სამი თვე მოუნდა, რასაც, რასაკვირველია, შეუძლია ცუდი შედეგი იქონიოს ბარკის მოსავალზე თუ მეაბრეშუმეები ეხლავე არ შეუდგებიან თესლის შეძენას და ჩვეულებრივ არ დაიწყებენ ცდას, ვიდრე თესლი არ გალეფდება და გამოსვლას არ დაიწყებს და ჩალის ფასად არ გახდება. მართალია თვით მეთესლეებიც დამნაშავენი არიან, რომ თესლს ბირველ ეხანებში ძვირად ყიდულობენ და ბოლოს შეტად იაფებენ. მაგრამ წელს ამის დრო და საშუალება არა აქვთ, რადგან როგორც ზემოდ ავღნიშნეთ, თესლი გზაში დიდ ხანს დარჩა და მისი ჩვეულებრივად დიდ ხანს შენახვა და გაჩერება საშიშია. ბევრი ცნობილ ფირმების თესლი უკვე იფიდება დღეს ჩვენში და ბევრიც გზაშია, თესლი ითქმის საშეოფია ტ სრულებით უსაფუძვლოა იმისი შიში, რომ ითქოს ოსმალური თესლის ყიდვა-გაყიდვა წელს აღკძალულია და ნედლ ბარკის მოსავალსაც ფასი არ ექნება, ბირიქით, თვით მოვრობა დღეს ყოველგვარ საშველებს ხმარობს, გადვიდოს უცხოეთიდან თესლის

5 586 1915 12

შემოტანა და დაეხმარონ ფულით მეაბრეშუმეობას და ბარკის ადგ-მიცემობას, რათა ხალხის ნაწარმოები აქვე დამუშავდეს და გასაღდეს. შარშან დასავლეთმა საქართველომ ორი მილიონი მანეთი მიიღო ბარკის გაყიდვით. ეს ცხადთ გვინტკიცებს, რომ წელსაც დამშეულ სოფლელებს მეაბრეშუმობი შემწეობით დიდი სახსარი მოიშოვონ და გაუმკლავდნენ გაჭირვება-სიმშილს. ამისათვის საჭიროა თვით მეაბრეშუმეების ღელეადნვე შეუდგნენ რიგის თესლის შეძენას და რადგანაც წელს აღდგომა და გაზაფხული ძლიერ ადრეა. მასთან ბეღლი (თუთის) ფოთოლიც უკვე გაიშალა, ჭიის გამოფოფინა გაცოცხლება უფრო ადრე უნდა მოხდეს ვიდრე წარსულ წლებში. ბევრს მეაბრეშუმეს შიმშილობისა და უფულობისა გამო არ შეუძლია ნადდად შეიძინოს თესლი. ამ შემოხვევაში ურჩევთ შეამხანაგდნენ ერთი-ერთს შორის და ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობას თუ სხვა რომელიმე კოოპერატივის საშუალებით შეიძინონ საჭირო თესლი საიმედო ფირმისა. ამის შესახებ ჩვენ უკვე მოლაპარაკება გვქონდა წვრილი-კრედიტის ინსპექტორებთან და მთავარ-მმართველობასთან და მათ სრული დახმარება აღგვიოქვეს, როგორც თესლის შეძენის ისე ბარკის გასაღების საქმეშიც.

დასასრულ კიდევ მოვაგონებთ მეაბრეშუმეებს, რომ დაჩქარონ თესლის შეძენა აგრეთვე მოუწოდებთ სოფლის გულშემატკივართ დახმარება გაუწიონ სოფლელებს ამ ფრიად სასარგებლო საქმეში. ამ ჟამად თესლი ჰფასობს ტფილისში 1 მ. 50 კ. 2 მანეთამდე კოლოფი.— 250 კოლოფზე ნაკლებს არ იყიდნენ. ცალობით თითო კოლოფი ცოტა მეტად ფასობს.

ი. ქუთ თელაძე.

ბოდბისხევის მომხმ. საზოგადოება „ნდობა"

ბოდბისხევის მომხმარებელი საზოგადოება დაარსდა გასულ 1914 წელს. წლის ბოლოს საზოგადოებაში სულ ითვლებოდა 92 წევრი 883 მ. საპაიო თანხით და 94 მან. ჩასაწერ გადასახადით.

გასული წლის განმავლობაში საზოგადოების საერთო ბრუნვა უდრიდა 4.689 მ. 74 კ.; ამ რიგად საპაიო თანხა გადაბრუნებულა 5,3 ჯერ, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს დიდად. ცხადია ეს აიხსნება იმით, რომ საზოგადოება დაშორებულია თბილისს, სადაც იგი ყიდულობს დუქნისათვის საჭირო საქონელს. ამ მიზნისთვის საზოგადოებას მუდამ განსაკუთრებული კაცის გზავნა უხდება თბილისში. ასეთი დაპრკოლება დასახელებულის და აგრეთვე სხვა თბილისს დაშორებულ მომხმარებელ საზოგადოებათა გამოწვეულია იმით, რომ არ არსებობს ცენტრალურ მომხმარებელ საზოგადოებათათვის საქონლის მსყიდველ-მიმწოდებელი ამხანაგობა.

საქონლის ბრუნვა საზოგადოებისა უდრის $4^1/_4$, რაც აგრეთვე ცოტაა და იმავე მიზეზით აიხსნება.

საქონლის მოგება (валовая прибыль) სულ იყო 1260 მ. 20 კ.; საერთო ბრუნვასთან შედარებით ეს თანხა შეადგენს 26 პროც.. საქონლის მოგებას თუ გამოვაკლებთ საზოგადოების ხარჯებს 364 მ. 60 კ. და ანგარიშის მოხდენის დროს საზოგადოების მაღაზიაში დარჩენილ საქონლის მოგებას 611 მ. 85 კ., წმინდა მოგება რჩება 283 მ. 75 კ., ანუ დაახლოებით 6 პროც.

1915 წ. დასაწყისში შედგენილი ბალანსი საზოგადოებისა გამოიხატებოდა შემდეგი ციფრებით:

ა ქ ტ ი ვ ი:	
ნაღდი ფული . . .	34 მ. 85 კ.
საქონელი ნაყიდ. ფასით .	1448 „ 69 „
ქონება	138 „ 15 „
ნისია წევრებზე . .	9 „ 06 „
შეტანილი პაის ფულში შემნახ.-გამსეს. ამხან. . . .	1 „ — „
სულ	1632 მ. 75 კ.
პ ა ს ი ვ ი:	
ჩასაწერი გადასახადი. .	94 მ. —
საპაიო თანხა . . .	883 „ —
საზოგადოების ვალი . .	360 „ —
საწინდარი ნოქრისა . .	12 „ —
წმინდა მოგება. . .	283 „ 75 კ.
სულ	1632 მ. 75 კ.

საზოგადოების საერთო კრება ჯერ არ მომხდარა და მიღებული წმინდა მოგება არ არის განაწილებული. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ დასახელებული საზოგადოება ჩვენში ერთად-ერთი, რომელშიაც შემოღებულია სამარკო სისტემა (марочная система). განზრახვა აქვთ პრემია ნავაჭრზე მისცენ არა წევრთაც, რათა ეს უკანასკნელნი მიიზიდონ საზოგადოებაში.

დასახელებული საზოგადოებაც, როგორც საზოგადოთ ჩვენში ყველა არსებული მომხმარებელი საზოგადოება, მოიკოჭლებდა ანგარიშის წარმოებაში. იმედია საზოგადოება ამ წელს მაინც გამოკეთდება ამ მხრივ, რადგანაც საზოგადოებამ შეიძინა ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ შემუშავებული საანგარიშო დავთრები და მით დაადგა ანგარიშის წარმოებაში სწორე გზას.

ს. კ.

რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილი.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა არ. მ. კერესელიძისა, გაბაევის შესახვევი № 1.